ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1115396

ნომერი: AR1195481

თარიღი : 06.02.2014

გაცემის თარიღი : 07.02.2014

გაცნობის თარიღი : 10.02.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 83/11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნიკოლოზ ურუშაძე პ/ნ 01005003987
- დ.აღმაშენებლის 55/1

ორგანიზაცია:
- MEDISON კოდი: 404923632

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნული სამუშაოების განხორციელება, თუმცა შესაბამისი წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. ვინაიდან წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ასევე ხდება ფასადის შელესვა–შეღებვა და მოპირკეთება, თქვენს მიერ არჩეულ ნომენკლატურასთან ერთად უნდა აირჩიოთ დამატებით კიდევ ერთი ნომენკლატურა: "შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება – რეკონსტრუქცია"; რისთვისაც გეძლევათ ნომენკლატურის ცვლილების საშუალება და უნდა ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით.
2. ვინაიდან არსებული კიბის რეკონსტრუქცია და გაბარიტებში გაზრდა ხდება თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, საჭიროა წარმადგინოთ თანამესაკუთრის შპს "ედემი"–ს დირექტორის მარინე ფანიაშვილის მიერ გაცემული თანხმობა არსებული კიბის რეკონსტრუქციის თაობაზე, რომელიც უნდა აიტვირთოს "საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრეთა თანხმობა"-ს ველში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.